დამტკიცებულია თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა ოქმი #09, 20 სექტემბერი , 2024 წელი.

თსსა სტუდენტის გზამკვლევი

სტუდენტის ხელშეკრულება

სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სწავლის განმავლობაში.

სწავლის საფასური

სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის წლიური საფასური შეადგენს 2250 ლარს. თსსა-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, ეს თანხა იყოფა ორ ნაწილად (სემესტრების მიხედვით - 1125 ლარი) და სტუდენტი სემესტრისთვის განსაზღვრულ სწავლის საფასურს (1125 ლარი) იხდის შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე, აკადემიის მიერ დადგენილი რეგისტრაციის ვადების დაცვით. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, სახელმწიფო უნაზღაურებს სტუდენტს სწავლის საფასურს მოპოვებული გრანტის პროცენტული ოდენობის შესაბამისად, ხოლო დანარჩენ თანხას იხდის სტუდენტი და ამასთან, 100% სასწავლო გრანტი მთლიანად ანაზღაურებს სწავლის საფასურს.

სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა

თსსა შემოქმედებითი ტურის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა საშუალებას აძლევს მაღალი შეფასების მქონე სტუდენტებს, პირველი კურსის პირველივე სემესტრში უფასოდ ისწავლონ არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე, წინასწარ განსაზღვრული ქვოტის ფარგლებში.

პროგრამაში მოხვედრილ სტუდენტთათვის დაფინანსების შენარჩუნების საფუძველია ყოველსემესტრულ შეფასებათა საშუალო მაჩვენებლის (საშუალო არითმეტიკული) - არანაკლებ 81 ქულის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი კარგავს ამ პროგრამით გათვალისწინებული სარგებელის მიღების უფლებას.

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამით განსაზღვრულ ადგილებს,

წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად, მოიპოვებენ მე-2 სემესტრიდან, პირველი სემესტრის აკადემიური მოსწრების შედეგების მიხედვით. საბიუჯეტო ადგილის შენარჩუნების საფუძველია ყოველსემესტრულ შეფასებათა საშუალო მაჩვენებლის (საშუალო არითმეტიკული) - არანაკლებ 81 ქულის მიღება.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამით მოსარგებლე სტუდენტს მოპოვებული აქვს 70% ან 50% სასწავლო გრანტი, აკადემია ათავისუფლებს მას სწავლის დარჩენილი საფასურის გადახდისაგან. შემოქმედებით ტურში მიღებული მაღალი ქულის მიუხედავად, ამ პროგრამაში მონაწილეობას არ იღებენ 100% სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტები, რადგან მათ უკვე აქვთ მოპოვებული უფასო სწავლის უფლება.

დეტალური ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია თსსა ვებგვერდზე - **www.art.edu.ge**

საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)

დამტკიცებული საგნების/სასწავლო კურსების ერთობლიობა (მათთვის მინიჭებული კრედიტების მითითებით), რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული კვალიფიკაციის (აკადემიური ხარისხის) მიღებას. გარდა სასწავლო კურსებისა, კურიკულუმი მოიცავს მიზანს და სწავლის შედეგებს, სწავლის და სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემას და მეთოდებს, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო, ადამიანურ და მატერიალურ რესურსს.

პროგრამების კატალოგი

დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას რომელიმე საფეხურის (პროფესიული განათლების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. პროგრამების კატალოგი გათავსებულია აკადემიის ვებგვერდზე.

აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია

საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების, სწავლის შედეგების მიღწევისა და პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება ამავე პროგრამით განსაზღვრული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.

ECTS კრედიტი

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას ემყარება, რომელიც სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევადაა აუცილებელი. კრედიტი დროის ერთეულში გამოსახული სტუდენტის დატვირთვის მოცულობაა, ანუ ეს ის

დროა, რომელიც საჭიროა სხვადასხვა სახის სასწავლო აქტივობის განსახორციელებლად: ლექცია, სემინარი, დამოუკიდებელი სწავლა, პრაქტიკული სამუშაო, შუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის მომზადება და სხვ. კრედიტი მოიცავს ყველა კომპონენტს (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა და სხვა.), ხოლო სტუდენტის დატვირთვა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში 1500-1800 საათს შეადგენს. საზოგადოდ, ერთი კრედიტი 25-30 საათს უდრის და თსსა-ში ერთი კრედიტი 25 საათს უტოლდება. სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია სასწავლო კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, რაც დადასტურებულია შეფასებისას დადებითი ქულის (მინიმუმ 51 ქულა 100 ქულიდან) მიღებით და სწავლის სავარაუდო შედეგის მიღწევას გულისხმობს.

ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს, როგორც წესი, შეუძლია დააგროვოს 60 კრედიტი. გამონაკლის შემთხვევებში, ერთი წლის განმავლობაში დაგროვებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

საბაკალავრო პროგრამა მთლიანად მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს, სამაგისტრო პროგრამა - 120 კრედიტს, სადოქტორო პროგრამა - 180 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტები რეგლამენტირებული არ არის და განისაზღვრება კონკრეტული დარგობრივი სტანდარტით და საგანმანათლებლო პროგრამებით.

ECTS კრედიტების აკადემიური ცნობა/აღიარება

აღიარება ECTS ფარგლებში ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად მიღებული კრედიტები შესაძლებელია აღიარებული იყოს და ჩანაცვლდეს სხვა პროგრამის ფარგლებში მიღებული შესაბამისი კრედიტებით. საზოგადოდ, კრედიტების აკადემიური აღიარება/ცნობა გამოიყენება მობილობის პროცესში.

სილაბუსი

სასწავლო კურსის/საგნის/დისციპლინის პროგრამა, რომელშიც ასახულია ინფორმაცია სასწავლო კურსის შესახებ, კერძოდ: საგნის დასახელება, კურსის ტიპი, ლექტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, მიზანი და სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა, შეფასების კრიტერიუმები, ლექციების თემატიკა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვ.

საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები

საკონტაქტო საათები ამა თუ იმ სასწავლო კურსის ფარგლებში პედაგოგისა და სტუდენტის უშუალო კონტაქტის დროა ლექციის, პრაქტიკული მეცადინეობის თუ სხვა ფორმატით ჩატარებული მეცადინეობის სახით.

არასაკონტაქტო საათები სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მისაღწევად გაწეული დამოუკიდებელი შრომის მოცულობას ეწოდება.

სტუდენტის დატვირთვა

სტუდენტის დატვირთვა მოიცავს სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო ნებისმიერი სახის აქტივობას: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაო, დამოუკიდებელი მუშაობა და სხვ.

სავალდებულო და არჩევითი საგნები

პროგრამის (კურიკულუმის) მიხედვით თითოეული სასწავლო კურსი/საგანი პროგრამაზე ჩარიცხული ყველა სტუდენტისათვის შესაძლებელია იყოს სავალდებულო ან არჩევითი. არჩევით საგნებს სტუდენტები ირჩევენ აკადემიის მიერ შეთავაზებული არჩევითი საგნების ნუსხიდან საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

სწავლის შედეგები/კომპეტენციები

სწავლის შედეგები კომპეტენციების ის ერთობლიობაა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან უნდა გააკეთოს სტუდენტმა სწავლის პროცესის დამთავრების შემდეგ. ეს შეიძლება ეხებოდეს სწავლის ნებისმიერ პერიოდს, მაგალითად ცალკეულ კურსს ან საგანს, სასწავლო პროგრამას. საგანმანათლებლო პროგრამაში და სილაბუსში აღწერილია 3 სწავლის შედეგი. ეს შედეგებია: ცოდნა/გაცნობიერება, უნარები, ავტონომიურობა/პასუხისმგებლობა.

სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით და დგინდება, მიღწეულ იქნა თუ არა სწავლის მოსალოდნელი შედეგები.

სწავლების ფორმატი

თსსა სასწავლო პროცესი ხორციელდება პირისპირ სწავლების ფორმატში: ლექციები, სემინარები, პრაქტიკული სამუშაო, შუალედური და დასკვნითი შეფასებები.

კონსულტაცია

სწავლების ფორმა, რომლის დროსაც სასწავლო კურსის პედაგოგი ინდივიდუალურად მუშაობს სტუდენტთან, ეხმარება მას მასალის გააზრებასა და სწავლის შედეგების მიღწევაში. კონსულტაციის საათები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემა:

აკადემიაში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების ერთიანი 100 ქულიანი სისტემა. დადებით შეფასებას წარმოადგენს მინიმუმ 51 ქულა, რომელიც გროვდება დასწრების ქულის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების შედეგების შეკრებით. დეტალური ინფომაცია შეფასების ფორმების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის/საგნის სილაბუსში.

სტუდენტის მიერ ამა თუ იმ სასწავლო კურსისთვის /საგნისთვის მინიჭებული კრედიტების ათვისების (დაგროვების) აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შეფასების საბოლოო შედეგად მაქსიმალური 100 ქულიოდან დადებითი შეფასების ანუ მინიმუმ 51 ქულის მიღება.

შეფასების 100 ქულიანი სისტემა:

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	„ფრიადი“	დადებითი
81% - 90%	B	„ძალიან კარგი“	დადებითი
71% - 80%	C	„კარგი“	დადებითი
61% - 70%	D	„საშუალო“	დადებითი
51% - 60%	E	„დამაკმაყოფილებელი“	დადებითი
41% - 50%	FX	„არადამაკმაყოფილებელი“; სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	უარყოფითი
0% - 40%	F	„ჩაიჭრა“. კურსი თავიდან უნდა გაიაროს	უარყოფითი

საგნის გადაბარება

სასწავლო კურსის/საგნის საბოლოო შეფასებისას მიღებული შეფასება 41ქულიდან 50 ქულის ჩათვლით საშუალებას აძლევს სტუდენტს იმავე სემესტრში გადააბაროს გამოცდა სასწავლო კურსის ხელახლა გავლის გარეშე. გადასაბარებელი გამოცდა ინიშნება ჩატარებული გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის გასვლის შემდეგ, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს სათანადოდ მოემზადოს დამაკმაყოფილებელი შეფასების მისაღებად.

პლაგიატის აღმოჩენა და მასზე რეაგირება

1. პლაგიატი არის სხვა ავტორის/წყაროს მიერ წერილობით (გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი ნაშრომი) ან ზეპირად გამოთქმული აზრის გამოყენება ავტორის /წყაროს მითითების გარეშე.

2. შუალედური ან დასკვნითი გამოცდების დროს სტუდენტის ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება. სტუდენტს ეძლევა საგამოცდო ნაშრომის ხელახლა შესრულების და გამოცდის გადაბარების საშუალება.

3. საკვალიფიკაციო ნაშრომში (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომი) პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტს არ ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია.

4. პლაგიატის თავიდან აშორება შესაძლებელია სხვის მიერ მომზადებული ნაშრომის ან გამოთქმული აზრის დამოწმებისას (ციტირება ან პერიფრაზი) წყაროს/ავტორის მითითებით.

5. სხვა ავტორის ინტელექტუალური საკუთრების ან/და საავტორო უფლების დარღვევად მიიჩნევა შემოქმედებით ნაშრომში მხატვრული იდეის /ფორმის გამეორება.

მობილობა

სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს მობილობის ანუ სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადასვლის უფლებით. მობილობის უფლება აქვს სტუდენტს მას შემდეგ, რაც იგი ერთი წელი ისწავლის იმ პროგრამაზე, რომელზეც ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით. მობილობა ხორციელდება წელიწადში ორჯერ შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების დაწყებამდე.
დეტალური ინფორმაცია მობილობის პროცესის ვადების, პროცედურის შესახებ მოცემულია ამ ბმულზე: https://emis.ge/umaghlesi_ganatleba/mobiloba/

ერთი და იმავე უმაღლესი სასწავლებლის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორეზე გადასვლის მსურველი სტუდენტი (ე.წ. შიდა მობილობა) უნდა დარეგისტრირდეს უმაღლეს სასწავლებელში. შიდა მობილობის ვადებს და პროცედურას ადგენს კონკრეტული უმაღლესი სასწავლებელი. ინფორმაცია შიდა მობილობის შესახებ განთავსებულია თსსა ვებგვერდზე www.art.edu.ge

მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: აკადემიური შვებულება, ავადმყოფობა, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, ფინანსური დავალიანება ან დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან ჯამურად 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.
სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი განისაზღვრება დაწესებულების წესდებით და შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწალის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახალი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დიპლომი და დიპლომის დანართი

დიპლომი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტია. დიპლომის დანართი ამ დოკუმენტის დამატებას წარმოადგენს და მისი მიზანია სწავლების ხასიათის, შინაარსის, სწავლის შედეგების და სხვა თავისებურებათა აღწერა.

სტიპენდია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარჩინებული სტუდენტის წახალისების მიზნით მისთვის ყოველსემესტრულად გადახდილი თანხა.

პორტფოლიო

სხვადასხვა სახის ნამუშევრების ნაკრები (ხელოვნების ნაწარმოები, პროექტი, შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობა და სხვ.), რომელიც ასახავს ავტორის პროფესიულ განვითარებას დროის გარკვეულ პერიოდში.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

ელექტრონული სისტემა emis სტუდენტის პირადი გვერდია, სადაც მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ: სასწავლო ცხრილი,მიღებული შეფასებები და სხვ. ელექტრონულ გვერდზე შესასვლელად სტუდენტი პირად პაროლს იღებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში.

სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
გ) აკადემიის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა აქტებით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
დ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე, წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოებში, მიიღოს მონაწილოება სტუდენტურ აქტივობებში (შემოქმედებით, სპორტული და სხვ.);
ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ვ) ისარგებლოს მობილობის უფლებით - გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აკადემიის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე;
ზ) მიიღოს სტიპენდია, ისარგებლოს სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული უფასო სწავლების საშუალებით, სხვა წყაროებიდან მიიღოს გრანტი ან სხვა სახის დახმარება;
თ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა, მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
ი) გაასაჩივროს მიღებული შეფასება, ან მის მიმართ მიღებული სხვა გადაწყვეტილება (მათ შორის, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერებსი შესახებ), ასევე, მიმართოს აკადემიის ან/და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას, მისი უფლებების დარევასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვის მოთხოვნით;
ლ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
მ) ისარგებლოს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებით, კარიერული მხარდაჭერის სერვისისიათ და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტებით;
ნ) ისარგებლოს აკადემიური შვებულებითა და მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამებში;
ო) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ზემოჩამოთვლი ან სხვა უფლებების შესახებ, რითაც შეუძლია ისარგებლოს აკადემიაში სწავლის პერიოდში.